

**საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება
N110 2008 წლის 4 მარტი ქ. თბილისი**

**დასახლების შექმნის, გაუქმებისა და მისი ადმინისტრაციული
საზღვრის შეცვლის წესის დამტკიცების შესახებ (27.07.2011 N 410)**

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „დასახლების შექმნის, გაუქმებისა და მისი ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის წესი“. (27.07.2011 N 410)

2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ სააკაშვილი

**დასახლების შექმნის, გაუქმებისა და მისი ადმინისტრაციული საზღვრის
შეცვლის წესი (27.07.2011 N 410)**

მუხლი 1. რეგულირების სფერო (27.07.2011 N 410)

1. ეს წესი ადგენს:

ა) დასახლების (ქალაქი, დაბა, სოფელი) შექმნისა და გაუქმების წესს;

ბ) დასახლების (ქალაქი, დაბა, სოფელი) ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის წესს.

2. ეს წესი არ აწესრიგებს თვითმმართველი ერთეულის სტატუსის მქონე დასახლების (თვითმმართველი ქალაქი) ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის საკითხებს.

მუხლი 2. დასახლების შექმნა ან გაუქმება.

1. დასახლების (ქალაქი, დაბა, სოფელი) შექმნის ან გაუქმების შუამდგომლობით თვითმმართველი ერთეულის საკრებულო მიმართავს სახელმწიფო რწმუნებულს - გუბერნატორს. (27.07.2011 N 410)

2. საკრებულოს შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს:

ა) დასახლების შექმნის ან გაუქმების საჭიროების დასაბუთება;

ბ) შესაქმნელ ან გასაუქმებელ დასახლებაში მოსახლეთა რიცხოვნობა;

გ) შესაქმნელი ან გასაუქმებელი დასახლების სახელი, ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა; (14.03.2008 N143)

დ) სხვა დოკუმენტები, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. (14.03.2008 N143)

3. დასახლების შექმნის შესახებ საკრებულოს შუამდგომლობას აგრეთვე თან უნდა დაერთოს შესაქმნელი დასახლების შესაბამისობის დასაბუთება შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

4. სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი საკრებულოს შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, წარდგინებით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს დასახლების შექმნის ან გაუქმების თაობაზე. წარდგინებას თან უნდა დაერთოს ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. დასახლების შექმნის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი.

5. დასახლებისათვის შესაბამისი კატეგორიის მიკუთვნება (შეცვლა), „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, განიხილება, როგორც დასახლების შექმნა და ხორციელდება დასახლების შექმნისათვის ამ წესით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. (27.07.2011 N 410)

მუხლი 3. დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლა.

1. დასახლების (ქალაქი, დაბა, სოფელი) ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის შუამდგომლობით თვითმმართველი ერთეულის საკრებულო მიმართავს სახელმწიფო რწმუნებულს - გუბერნატორს.

2. დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის შესახებ საკრებულოს შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს:

ა) დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის საჭიროების დასაბუთება;

ბ) დასახლების ახალი ადმინისტრაციული საზღვარი და სქემატური რუკა.

3. სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი საკრებულოს შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, წარდგინებით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის თაობაზე. წარდგინებას თან უნდა დაერთოს ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 4. დასახლებისათვის სახელის მინიჭება და შეცვლა (14.03.2008 N143)

დასახლებისათვის სახელის მინიჭებისა და შეცვლის საკითხები რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 5. გადაწყვეტილებების მიღების რიგითობა.

დასახლების შექმნა ან გაუქმება, მისი ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლა, რაც იწვევს თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლას, შესაძლებელია განხორციელდეს თვითმმართველი ერთეულების

ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ საქართველოს პარლამენტის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

მუხლი 6. მონაცემების რეგისტრაცია.

ამ წესის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დასახელების შექმნის (გაუქმების), მისი ადმინისტრაციული საზღვრისა და სახელის შეცვლის შესახებ მონაცემების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე, იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 7. წესში ცვლილებების შეტანა.

ამ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, მისი გაუქმება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.